2018 წლის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით და ასევე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით. თითოეული პროგრამის ფარგლებში დახმარბეის ოდენობა და მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მიხედვით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად იღებს დახამრებას ბენეფიციარი. დახმარების თანხა ირიცხება მოსარგების პირად ანგარიშზე ან პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტებზე რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს.

2018 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 684,48 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 677,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,0 %-ია. ამ ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა 116,8 ათასი ლარი, ანუ პროგრამით გათვალისწინებული 99,4 %-ი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 28 მრავალშვილნმა ოჯახმა, დედ-მამით ობოლი ბავშვის 2 ოჯახმა ფენილკეტონურიით დაავადებულმა 4 ბენეფიციარმა, ჰემოფიციით დაავადებულ 2 პირმა, კომუნალური დახმარებით 18 წლმადე ასაკის შშმ პირთა 51 ოჯახმა. 2018 წელში პროგრამის ფარგლებში 100 ახალშობილმა ოჯახმა მიიღო 200 ათასი ლარის დახმარება. ხანდაზმულმა სამმა მოქალაქემ 900 ლარი და განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე 4 ბენეფიციარს გაეწია 3 840 ლარის დახმარება.

გასული წლის პერიოდში ბენეფიციარებს სტაციონარულ სამედიცინო მომსახურების თანადფინანსებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის გაწეული იქნა 286,4 ათასი ლარის დახმარება, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 99,88%-ს შეადგენს. ამ პერიოდში C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაკქტიკის განსაზღვრისათვის დახმარება გაეწია 71 ბენეფიციარს, რომლის მომსახურების ღირებულებამ 1420 ლარი შეადგინა, ონკოდაავადებულმა 125 მოქალაქემ მიიღო 38700 ლარის დახმარება, მოთხოვნის შესაბამისად გულის თანდაყოლილი პათოლოგიით და ეპილეფსიით დაავადებული 10 ბენეფიციარის მომსახურებისათვის თანხა გადაერიცხა შესაბამის მომსახურე დაწესებულებას 1651 ლარი.

პროგრამის ფარგლებში დროულად დაკმაყოფილდა ფენილკეტონურიითა და თირკმლის უკმარისობით დაავადებული ბენეფიციარები, რომლებსაც პირად ანგარიშზე ერიცხება

ყოველთვიურად 140 ლარი. ხარჯმა კი შეადგინა 12 000 ათასი ლარი. დაცული იყო ყოველთვიური ფულადი დახმარებების ჩარიცხვის ვადები. ასევე ეღთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო მძიმე საცხოვრებელი და ეკონომიკურ პირობებში მყოფი და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულმა 81 ოჯახმა 121,4 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის შესაბამისად დახმარება გაეწია საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დარუპულთა ოჯახებს. ამ მიზნით გაწეული იქნა 21 520 ლარის ხარჯი, რაც დაზუსტებული გეგმის 100 %-ია. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა 4 ბენეფიციარმა, რომლებსაც ჩარეიცხა 800 ლარი. სუბსიდიის მუხლიდან დაფინანსდა ა(ა)იპ განათლების ,,დღის ცენტრი“ 13000 ლარი და ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 56 500 ლარი. სულ ამ მუხლზე გახარჯულია 76 200 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულია სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ პროგრამებში. შესწავლილი იქნა 57 ოჯახის საცხოვრებელი საყოფაცხოვრებო პირობები და მომზადდა მასალები მათი შესაძლო ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე.